საქართველოს შინაგან საქმეთა
სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო
დაწესებულება – საგანგებო
სიტუაციების მართვის სამსახური

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF
GEORGIA SUBORDINATED STATE
ENTITY – EMERGENCY
MANAGEMENT SERVICE

02/08/2024

MIA 7 24 02348009

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის-
III-IV კლასის შენობა-ნაგებობების სანებართვო განყოფილების
პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს
(განყოფილების უფროსი) ქალბატონ **თამარ ჩინჩალაძეს**

ქალბატონო თამარ,

თქვენი 2024 წლის 26 ივლისის N 60-01242083176 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, ქიზიყის ქუჩა N11-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.19.21.002.407) ასაშენებელი საამქრო/სტამბის შენობის არქიტექტურული პროექტი, შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მარეგულირებელი ნორმების, ტექნიკური რეგლამენტების და სტანდარტების მოთხოვნებს.

ამასთან ერთად, აუცილებლად მიგვაჩნია მშენებლობის სანებართვო პირობებში ასახული იქნეს შენობის ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის და საინჟინრო სისტემების მოწყობის საკითხები, რომელთა პროექტები (ყველა პროექტი უნდა მოდიოდეს თანხვედრაში არქიტექტურულ პროექტთან) სამი თვის ვადაში წარმოდგენილი იქნეს განსახილველად, კერძოდ:

ა) შენობის გარე ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების მოწყობის პროექტს;
ბ) შენობის შიდა ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების მოწყობის პროექტს;
გ) შენობის ავტომატური სახანძრო სიგნალიზაციის მოწყობის პროექტს;
დ) შენობის კვამლსაწინააღმდეგო ვენტილაციის სისტემების მოწყობის პროექტს;

საქართველო, 0114, თბილისი, ვ. გორგასლის ქ. №83ა
ტელ: (+995 032) 2 41 44 79
ელ. ფოსტა: info@es.gov.ge

№83a, V. Gorgasali str. Tbilisi, 0114, Georgia
Tel: (+995 032 2 41 44 79
E-mail: info@es.gov.ge

ე) შენობის ხანძრის შესახებ მაუწყებლობის და ადამიანთა ევაკუაციის მართვის სისტემების მოწყობის პროექტს;
ვ) შენობის გათბობა-ვენტილაციის სისტემების მოწყობის პროექტს;
ზ) შენობის ელექტრომომარაგების პროექტს;

პატივისცემით,

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური /
ზედამხედველობის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
კუჭაშვილი დავითი